# ქალაქ ბათუმის საკრებულოს

# დადგენილება №65

## 2018 წლის 28 სექტემბერი

## ქ. ბათუმი

**ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 23-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1**

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმა, დანართის შესაბამისად.

2. ქალაქ ბათუმში, დასახლება მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთისათვის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.34.25.664) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმში, მწვანე კონცხზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.34.25.664) განსათავსებელი ობიექტის მოცულობა შემცირდეს და განისაზღვროს არაუმეტეს 28 სართულისა.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **სულიკო თებიძე**